# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 146. ხუთშაბათი, 28 აგვისტო 1903 წ. გაზეთის № 2249.

2 მანეთი და 60 კაპ. ღირს ყოველ-დღიური გაზეთი ცნობის ფურცელი კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე.

## ჩემი თანამგზავრი

(ერთის მოგზაურობის ისტორია)

მ. გორკისა.*)

VII

რას იცინი?—ვკითხე.

აღტაცებული ვიყავ მოხუც ჩობნის კეთილ-ზნეობით, აღტაცებული ვიყავ განთიადის წინ ამოვარდნილ გრილ სიოსაგანაც, რომელიც პირ-და-პირ მკერდში გვცემდა, აღტაცებული ვიყავ იმისაგანაც, რომ ცამ მოიწმინდა, საცაა ინათებდა, მოკრიალებულ ცაზედ მზე ამოცურდებოდა და დაიბადებოდა ბრწყინვალე, ლამაზი დღე.

შაქრომ ცბიერად ჩამიკრა თვალი და უფრო ძლიერ გადიხარხარა. იმისი მხიარული სიცილი რომ მესმოდა, მეც მეღიმებოდა. სამი საათი გავატარეთ ჩობნებთან ცეცხლა-პირას და ამ დასვენებამ, გემრიელმა საჭმელმა ისე იმოქმედა ჩვენზედ, რომ იმ მოწყენცველ მგზავრობისა აღარა გვეტყობოდარა, ოდნავი ძლების ტეხის გარდა. ესეც ხომ სიარულში უნდა გამქრალიყო.

— აბა, რას იცინი, გიხარიან, რომ ცოცხალი დარჩი, ჰა? ცოცხალი ხარ დამასთან მაძღარიც.

შაქრომ უარყოფის ნიშნად თავი ჩაიქნია, მკერდში ხელი წამკრა, დამეღრიჯა, ხელახლა გადიხარხარა და დამტვრეულის ენით დაილაპარაკა:

— არ გესმის, რატომ არის სასიცილო? არა? ემ საათში გაიგებ. იცი, რას ვიზამდი, უფროსთან რომ წავეყვანეთ? არ იცი? შენს შესახებ ვეტყოდი, ამას ჩემი დახრჩობა უნდოდამეთქი და ტირილს დავიწყებდი. შემიბრალებდნენ და საპყრობილეში აღარ ჩამსვამდნენ. გესმის?

პირველად ხუმრობა მეგონა, მაგრამ შაქრომ დამარწმუნა, რომ განზრახვას მართლა აასრულებდა. ისე საბუთიანად და აშკარად მარწმუნებდა, რომ გაჯავრების მაგიერ, ისიც და ჩემი თავიც შემებრალა. განა რა უნდა იგრძნო იმ კაცისადმი, რომელიც ღიმილითა და გულწრფელის კილოთი გეუბნება, შენი სიკვდილი მქონდა განზრახულიო? რა უნდა უყო იმას, როდესაც ამ საქციელს ისე უყურებს, როგორც ჭკუა-მახვილს და სათაყვანო ხუმრობას?

გაცხარებულმა დავუწყე მტკიცება, რომ იმისი განზრახვა უზნეობა იყო. ის უბრალოდ მაძლევდა პასუხს, მეუბნებოდა, რომ ჩემი სარგებლობა არ გესმის და გავიწყდება, რომ მე სხვისი ბილეთით ვცხოვრობ, ხოლო ამის გამო ქებას არავის ეუბნებიანო.

უცებ თავში ერთმა უდიერმა აზრმა გამირბინა.

— მოითმინე, დარწმუნებული ხარ, რომ მართლა მინდოდა შენი დახრჩობა?—ვკითხე.



ქრისტიანები რომის ცირკში.—სურათი მანტეგაცასი.

*) იხილე დამატ. № 144.



მველ ტაძრის ნანგრევთა მასპინძლები.—სურათი ერნსტისა.

— არა... წყალში რომ მაგდებდი, მაშინ მწამდა, ხოლო როდესაც წყალში გადახტი, მაშინ აღარა!

— დიდება ღმერთსა!—შევძახე.—მაგაზედაც მადლობელი ვარ!

— ნუ მეუბნები მადლობას, თვით გადაგიხდი მადლობას! იქ, ცეცხლთან ორივეს გვციოდა. ჩოხა თუმცა შენია, მაგრამ შენ არ წამოისხი, გააშრე და მომეცი. აი, ამაზედ დიდად მადლობელი ვარ. ვიცი, ძალიან კარგი კაცი ხარ. ტფილისში რომ ჩავალთ, ყველაფერს გადაგიხდი. მიგიყვან მამაჩემთან და ვეტყვი: აი, ადამიანი-მეთქი. ასვი, აჭამე ამას, მე კი თავლაში შემაგდე ვირებთან-მეთქი... აი, როგორ ვეტყვი. ჩვენთან იცხოვრებ, მებალეთ იქნები, სასმელ-საჭმელი თავზედ საყრელი გექნება. ოოო, როგორ იცხოვრებ, სულ ჩემი ჯამიდან გაჭმევ, ჩემი აზარფეშიდან გასმევ ღვინოს... დიდხანს და დაწვრილებით მიხატავდა იმ ცხოვრების სიმშვენიერეს, რომელსაც ტფილისში მპირდებოდა.

თენდებოდა. ზღვის შორეული სივრცე უკვე აელვარდა ვარდისფერ ოქროთი.

— მეძინება!—მითხრა შაქრომ.

შევჩერდით. ჩოხაში შეიფუთნა, ნაპირის შორი-ახლო ქარისგან ამოთხრილ ქვიშის ორმოში ჩაწვა და მალე მიეძინა.

გვერდით ვუჯექ და ზღვაში ვიცქირებოდი.

ზღვაში ძლიერი მოძრაობა იყო, სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. ტალღათა ხროვა ხრიალით მოგორავდა კიდისკენ და ქვიშაზედ იფანტებოდა. ქვიშა წყალს ისვამდა და ამის გამო შიშინებდა. დაწინაურებული ტალღები, თეთრის ფაფრების ქნევით, შრიალით ეხლებოდნენ კიდეს და უკუვარდნილნი ივლტოდნენ. გზაში ამათ ახალი, მაშველი ტალღები ჰხვდებოდა. ერთმანეთს ჩახვეულნი, ქაფით და წინწკლებით მოცულნი, ხელახლა მიგორავდნენ კიდისკენ და ზედ ეხეთქებოდნენ: სცდილობდნენ თავიანთ ცხოვრების საზღვარი გაეფართოვებინათ. ცის კიდურიდან დაწყებული ვიდრე ნაპირამდე მთელ ზღვის სივრცეზედ იბადებოდნენ ეს ძლიერი და მოქნილი ტალღები და, ერთის წადილით შეერთებულნი, მჭიდრო ხროვად მიდიოდნენ... მზე იმათ თან-და-თან აკაშკაშებდა და ცის კიდურზედ სისხლივით წითლები მოსჩანდნენ. ამ წყლის ძლიერ მოძრაობის დროს არც ერთი წვეთი არ იკარგებოდა უკვალოდ, თითქოს წყალი გასულდგმულებულა რაღაც შეგრძნებულ სურვილითაო და, აი, აღწევს კიდეც ამ სურვილს. ... იყო მშვენიერი სიმამაცე ნაპირზედ მშფოთრად მხტომ წინა ტალღებისა და კარგი საცქერი იყო როგორ მშვიდად მოსდევდა ამათ უკან ძლიერი ზღვა, რომელიც მზისაგან უკვე აფერადებულიყო ცისარტყელის ყველა ფერებად და სავსე იყო სილამაზითა და ძლიერებით...

კონცხის იქიდან გამოცურდა უშველებელი ხომალდი, რომელიც ტალღებსა სჭრიდა. ხომალდმა ზღვის წიაღში მედიდურის ქანაობით გაჰკურცხლა ტალღებს ზევიდან, რომლებიც გაშმაგებულნი ახტებოდნენ იმისს გვერდებს. ისეთი ლამაზი და ძლიერი იყო გემი, ისე ელავდა მზეზედ ლითონით, რომ სხვა დროს შეეძლო აღეძრა აზრი სტიქიონის დამმონებელ, ხალხთა ამაყ ქმნილების შესახებ... მაგრამ გვერდით მეწვა ადამიანი-სტიქიონი.

### VIII

თერგის ხეობით მოვდიოდით. შაქრო საოცრად იყო დაფხრეწილ-დაგლეჯილი. თუმცა შიმშილის ატანა აღარ უხდებოდა, რადგან საკმაო სამუშაო გვქონდა, მაინც კიდევ ქმაკიდით ბოროტი იყო. ვერც ერთ სამუშაოსთვის ვერ გამოდგა. ერთხელ სცადა, სალეწ მანქანიდან ბზე გამოეყარა, მაგრამ ნახევარდღეს თავი დაანება, რადგან ფოცხის ხმარებისაგან ხელები სულ დაუბებრდა და დაუსისხლიანდა. მეორედ ძეძვსა ვთხრიდით ძირიანად, ბარი მოირტყა და ტყავი გადასძვრა.

ძალიან ნელა მივდიოდით. ორ დღეს ვმუშაობდით, ერთ დღეს მივდიოდით. შაქრო ძალიან თავ შეუკავებლად სჭამდა და იმის სიწუწკის გამო ვერას გზით ვერ მოვახერხე რაიმე ჩასაცმელი მეყიდნა იმისთვის. ტანისამოსი ათასგან ჰქონდა დაფხრეწილი და სხვა-და-სხვა ჭრელ ფალასებით დაკერებული. ... რომ არ ვარიგებდი, სოფლის დუქნებში ნუ შეხვალ-მეთქი, ... დაელია საყვარელი ღვინო, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა.

ერთხელ რომელიღაც სოფელში უბიდან ჩუმად ამომაცალა იმისთვისვე შეგროვილი ხუთი მანეთი, საღამოზე სახლში მთვრალი მოვიდა და თან ვიღაც ყაზახის სქელი დედაკაცი მოათრია, რომელმაც ამ გვარად მომცა სალამი:

— გამარჯობა, დაწყევლილო მწვალებელო!

როდესაც ამ გვარ სახელ-წოდებით გაკვირვებულმა ვკითხე, რადა ვარ დაწყევლილი-მეთქი, მიპასუხა:

— იმიტომ, ეშმაკო, რომ ამ ყმაწვილს უშლი, ქალები ნუ გიყვარსო! განა შეგიძლიან დაუშალო, როდესაც კანონი ნებას იძლევა, შე შეჩვენებულო!

შაქრო გვერდით ედგა და თანხმობის ნიშნად თავს აკანტურებდა. ძალზედ მთვრალი იყო, სულ ფაფატებდა. ქვევითა ტუჩი ჩამოვარდნოდა. მიმქრალი თვალები ბჟუტავდნენ ... ჟირებოდა.

— რა თვალებს გვაჭყეტავ? მოიტა ამისი ფული!—შეჰყ-
რა მამაცმა დედაკაცმა.

— რა ფული?—გავიკვირვე.

— მოიტა, მოიტა, თორემ მამასახლისთან წაგიყვან! მოი-
ის თხუთმეტი თუმანი, რომელიც ამისთვის ოდესსაში გამო-
რთმევია!

რა უნდა მექმნა? მართლაც და ამ მთვრალს, ეშმაკის
ძს დიაცს მამასახლისისთვის რომ შეეტყობინებინა, მაშინ
ფლის მჰართველობა, რომელიც სასტიკათ ექცევა უქმად
ხეტიალე ხალხს, უეჭველია დაგვატუსაღებდა და ვინ იცის,
დატუსაღებას რა მოჰყვებოდა. დედაკაცს თავი მოვუქონე.
ოგორც იყო სამი ბოთლი ღვინო ჩამოუსხი და დავამშვიდე,
ვრალი წამოიშხლართა მიწაზედ და საზამთროებს შუა ჩაი-
ნა. შაქროც მივაწვინე. დილა ადრიან ავდექით და სოფ-
ლიდან გამოვედით, დედაკაციც და საზამთროებიც იქ მივა-
ტოვეთ.

ნაბახურევი შაქრო უქეიფოდ იყო, სახე დაჰსიებოდა,
სჭმუჭნოდა, მუდამ აფურთხებდა და ოხრავდა. დაველაპა-
კე, მაგრამ დაღლილ ცხენივით აქნევდა თავსა.

დღე პაპანაქდებოდა. ჰაერი სავსე იყო სქელ ბალახით
ფენილ ნოტიო ნიადაგის მძიმე სუნით. ბალახი მხრებამდე
წვდებოდა. ჩვენს გარშემო უძრავად იდგა ბალახის მწვანე
ერდისებური ზღვა და გაპაპანაქებულს ჰაერს ნოყიერი
ნნელება უერთდებოდა, რომლისაგანაც თავი გვიბრუვდე-
და.

გზის შემოკლების გულისთვის ვიწრო ბილიკით მივდი-
ით, სადაც ჩვენ ფეხთ ქვეშ პატარა, წითელი გველები და-
რებოდნენ. მარჯვნივ, ცის-კიდურზედ, მზის სინათლის გამო
რცხლებრ ბრჭყვიალა ღრუბელთა გროვა მოსჩანდა. ეს იყო
ღესტნის მთა-გრეხილი, ირგვლივ გამეფებული სიჩუმე ოც-
ბასა და ძილს გვგვრიდა. შავი სქელი ღრუბლები მოგვდევ-
ენ უკან. აი, შეერთდნენ და ცა დაჰფარეს. წინ-კი ცა მო-
ენდილი იყო, თუმცა ღრუბლების ნაფლეთები წინ გამხტა-

თავშესაფარი ვერსად ვიშოვეთ. აგერ ჩამობნელდა და ბა-
ლახის შრიალი თუმცა უფრო ხმა-მაღლა გაისმოდა, მაგრამ
როგორღაც შემკრთალი იყო ეს ხმა. დაიქუხა და ლურჯის
ცეცხლით მოცული ღრუბლები შეხტნენ. შემდეგ ჩამობნელ-
და და მთების ვერცხლებრივი გრეხილი წყვდიადში გაჰქრა.
კოკის-პირული წვიმა დაუშვა და განუწყვეტელი ქუხილი გაი-
სმა. ქარ-წვიმისგან ბალახი ილუნებოდა და ოდნავის ხმით
შრიალებდა. ყველაფერი თრთოდა, ირყეოდა. თვალის მომ-
ჭრელი ელვა აპობდა ღრუბლებს. იმათ მტრედისფერს ელვა-
რებაში მოსჩანდა ბრჭყვიალა მთაგრეხილი, ხოლო როდესაც
ელვა ჰქრებოდა, იგი იკარგებოდა, თითქოს ბნელს უფსკრულ-
ში შთაინთქაო. ყველაფერი გრგვინავდა, თრთოდა, თითქოს
მრისხანე და მღვრიე ცა ცეცხლით ისუფთავებდა თავს მტვე-
რისა და ყოველ სიბინძურისაგან, რომელიც დედა-მიწიდან ასუ-
ლიყო და თითქოს დედამიწა იმის რისხვის წინაშე შიშისაგანა
თრთისო.

შაქრო შეშინებულ ძაღლივით კანკალებდა და ბუზღუნებ-
და. მე-კი, როგორღაც მხიარულს გუნებაზედ ვიყავ და ჩვეუ-
ლებრივზედ უფრო ვმაღლდებოდი, ვაკვირდებოდი-რა ამ მინ-
დვრის ელვა-ქუხილის ძლიერს და დაღვრემილს სურათს. ეს
საოცარი არევ-დარევა მიტაცებდა, საგმირო საქმეების ჩასადე-
ნად მამზადებდა, ხოლო ჩემი სული მრისხანე და ველურს ჰარ-
მონიას მოეცვა.

მეც მომინდა მონაწილეობის მიღება, მომინდა, რომ ამ
წყვდიადისა და ღრუბლების შემმუსვრელ საიდუმლო ძალის წი-
ნაშე რითიმე გამომეთქვა ის აღტაცების გრძნობა, რომელიც
ჩემს არსებაში აღარ ეტეოდა. თითქოს მკერდშიაც მენთებოდა
ის მტრედისფერი ალი, რომლითაც ცა მოცულიყო. განა რი-
თი უნდა გამომეთქვა ჩემი დიადი აღელვება და აღტაცება ბუ-
ნების ამ მშვენიერ სურათის წინაშე? სიმღერა დავიწყე. ჰქუხდა,
ელავდა, მეკი ვმღეროდი და ყველა ხმებთან რაღაც ნათესაურს
კავშირს ვგრძნობდი. სისულელეს ჩავდიოდი, მაგრამ მეპატიე-
ბოდა, რადგან ჩემის თავის მეტს არავის რას ვუშავებდი. მთლად



ჯარში გასაყვანთა შემოწმება.—სურათი სტრაკისი.

იყვნენ, სადღაც მიჰქროდნენ, ჩვენ გვიყელებდნენ და უფრო
ქლოდ ჰფარავდნენ ცას. სადღაც შორს ჰქუხდა და თან-და-
ან ახლოვდებოდა მისი მღრინავი ხმა. მსხვილი წვიმა დაუშვა
და ბალახი აახმაურა.

შემიპყრო იმ გრძნობამ, რომ რაც შეიძლებოდა მეტი დამე-
ჭირა და შემესვა ის ცოცხალი და შემძლე სილამაზე—ძლიე-
რება, რომელიც მინდორში ჰბობოქრობდა, და უფრო დავახ-
ლოვებოდი იმას... ზღვაში ქარიშხალი და მინდორში ელვა-

ქუხილი! არ, ვიცი ამაზედ უფრო დიდებული მოვლენანი ბუნებისა.

ვყვიროდი, რადგან კარგად ვიცოდი, რომ ჩემის ამ გვარის ქცევით არავის არ შევაწუხებდი და არავის არ ვაიძულებდი, ჩემი მოქმედება კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეტარებინა. უცებ ფეხში რაღაცა წამომედო და ჩემდა უნებურად სრულიად ჩავიფალ წუნწუხში.

შაქრო მომჩერებოდა მრისხანე თვალებით. ეტყობოდა, არა ხუმრობდა.

— გაგიჟდი? არა? მაშ, გაჩუმდი, ნუ ჰღრიალებ! თავს გაგიჩეხ, გესმის?!

გამიკვირდა ვკითხე, რას გიშავებ-მეთქი?

— მაშინებ, გესმის? ჰქუხს—ღმერთი ლაპარაკობს და შენ კი ჰღრიალებ... რას ჰფიქრობ შენი თავის შესახებ?

— შენც გაქვს სიმღერის ნება და მეცა, თუ კი მოვისურვებ!—ვუთხარი.

— მე არა მსურს!—გადაჭრით მითხრა.

— ნუ იმღერებ!—დავეთანხმე.

— შენც ნუ იმღერებ!—მკაცრად მითხრა შაქრომ.

— არა, ვიმღერებ...

— გამიგონე, რას ჰფიქრობ?—მრისხანედ დაილაპარაკა შაქრომ.—ვინა ხარ? სახლი გაქვს? დედა გყავს? მამა გყავს? ნათესავები გყავანან? რა ხარ ამ ქვეყნად? გგონია, კაცი ხარ? კაცი მე ვარ! ყველაფერი მაქვს!—აქ გულზე ხელი დაიკრა.—თავადი ვარ, შენ კი, შენ არაფერი! არაფერი არა ხარ! ამბობ, ესა და ესა ვარო. შენს მეტი სხვა ვინ იტყვის მაგას? მე მთელი ქუთაისი და ტფილისი მიცნობს! გესმის? ჩემს წინააღმდეგ ნუ მიდიხარ! მემსახურები—დაგაკმაყოფილებ! ათს წილს მოგაგებ. შენ ეგრე მექცევი, სხვაფრივ არ შეგიძლიან მოიქცე. შენ არ ამბობ, ღმერთმა გვიბრძანა, ყველას მუქთად ემსახურეთო? დაგასაჩუქრებ. რად მტანჯავ? გინდა, მეც შენსავით გავხდე? ეგ კარგი არ არის! ადამიანი ადამიანს თავისს მსგავსად ვერ გახდის... ეჰ, ეჰ, ეჰ!.. ფუ, ფუ!..

ლაპარაკობდა, ფრუტუნებდა, იტლოშნებოდა, ოხრავდა... გაკვირვებისაგან პირ-დაღებული შევცქეროდი. ეტყობოდა, რაც კი ჩვენ მოგზაურობის დროს შეურაცხება, უკმაყოფილება და აღშფოთება გამოევლო, ხელახლა ანთხევდა ჩემს წინაშე. რომ უფრო დავერწმუნებინე, თითს მატაკებდა მკერდში, მხრით მანჯღრევდა და ხან მთელის სხეულით შემეხებოდა ხოლმე. წვიმა გვასველებდა, ზევით განუწყვეტლივ ჰქუხდა, შაქრო კი ღრიალებდა რაც შეეძლო, რათა გამეგონა იმისი ლაპარაკი.

ჩემი სამწუხარო-სამასხარო მდგომარეობა უფრო გარკვევით წარმომიდგა და ძალზე ხარხარი დამაწყებინა.

შაქრომ გააფურთხა და პირი იბრუნა.

გ. გიუნაშვილი

(დასასრული იქნება)



— თქვენმა ქმარმა მთხოვა, ხშირად ვიარო თქვენსა სადილად. საკვირველია, იმის ხნის კაცს, როგორ არ ეშინიან, რომ. .

— რისა უნდა ეშინოდეს. ის ენდობა ჩემს...

— ერთგულებას?

— არა, გემოვნებას...



სინიდისიერი გამდელი.—ქალბატონო, თქვენ სამი უმაწვილი გამატანეთ გასასეირნებლად, თუ ორი?



სადა ერთი მტრედია, მეორე და მესამეც გაჩნდება. ოღონდ ერთი მტრედი აიყოლიე, მსწრაფად მეორეც მოფრინდება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Тифлисъ, 26 Августа 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა